გიორგი მაჭარაშვილი

ლიონის უნია
და საქართველო

გიორგი მაჭარაშვილი

ლიონის უნია
და საქართველო

თბილისი
2007

წიგნში განხილულია მეტად აქტუალური საკითხი - მიიღო თუ არა საქართველოს ეკლესიამ ლიონის უნია. როგორც ცნობილია, დიდი სქიზმის შემდეგ პირველად სწორედ ქ. ლიონში მოხდა უნიის გაფორმება რომაელ პაპისტებსა და მართლმადიდებლებს შორის.

ფერარა-ფლორენციის უნიისგან განსხვავებით, ლიონის უნიასთან დაკავშირებული საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ფაქტობრივად შეუსწავლელია.

© გიორგი მაჭარაშვილი

საკითხი, რომლის გამორკვევასაც ამჯერად ვისახავთ მიზნად, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე შეუსწავ-ლელია[1].

ისტორიიდან ცნობილია, რომ დიდი სქიზმის შემდეგ საეკლესიო უნიის მრავალ მცდელობას ჰქონდა ადგილი [2]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხოლოდ რამდენიმე მათგანის განხორციელება მოხერხდა. დიდი სქიზმის შემდეგ პირველად სწორედ ლიონის 1274 წლის კრებაზე მოხერხდა საეკლესიო უნიის გაფორმება პაპისტებსა და მართლმადიდებლებს შორის.

პაპი გრიგოლ X

ლიონის 1274 წლის კრება გაიხსნა 7 მაისს. სულ რამდენიმე სხდომა გაიმართა და კრებამ 17 ივლისს უკვე მუშაობა დაასრულა [3]. კრების მუშაობაში მონა-წილეობდნენ ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის ლათინი პატ-რიარქები, თხუთმეტი კარდინალი, ხუთასი ეპისკოპოსი, სამოცი აბატი და ათასზე მეტი პრელატი [4]. კრებას მეთაურობდა რომის პაპი გრიგოლ X [3]. მის სხდომებს, საფრანგეთისა და ინგლისის

[1] . არსებობს ცალკეული პუბლიკაციები ფერარა-ფლორენციის კრების მუშაობაში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ, რასაც ვერ ვიტყვით ლიონის 1274 წლის კრების შესახებ. მოცემულ საკითხს შეეხო ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი მურმან პაპაშვილი [1]. მაგრამ, სამწუხაროდ, პატივცემული ავტორი ვერაფერს ხელშესახებს ვერ გვეუბნება.

მეფეთა ელჩების გარდა, ესწრებოდნენ ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგისა და ბერძენ სასულიეროთა სამი წარმომადგენელი, ასევე მონღოლთა ყაენის დელეგაცია [3].

პალეოლოგის ელჩებმა კრებაზე წარადგინეს მრავალი ბერძენი ეპისკოპოსის მიერ ხელმოწერილი სინოდალური დოკუმენტი[2], რომლის საფუძველზეც უნია გაფორმდა კრების მეოთხე სხდომაზე, ხოლო მეექვსე სხდომაზე ბერძნებმა უკვე ფილიოკვეც აღიარეს [4]. კრების დასრულების შემდეგ, რომის პაპმა მიხეილ პალეოლოგის ელჩები მდიდრული საჩუქრებით ხელდამშვენებულნი დააბრუნა კონსტანტინეპოლში.

იმპერატორი მიხეილ პალეოლოგი (მინიატურა)

უნიამ დიდი მღელვარებები გამოიწვია აღმოსავლეთში. მიღწეული შეთანხმება ფაქტობრივად ქაღალდზე დარჩა, რადგან მართლმადიდებელ სასულიეროთა და მრევლის უდიდესმა უმრავლესობამ, თვით მიხეილ პალეოლოგის იმპერიაშიც კი, არ მიიღო იგი. „უმჯობესი იქნება, რომ თუნდაც ჩემი ძმის იმპერია დაიღუპოს, ვიდრე მართლმადიდებელი სარწმუნოება“, - ეს სიტყვები, რომლებიც მიხეილ პალეოლოგის ღვიძლ დას

[2] . „The letter Paleologus which they presented had been written in the name of fifty archbishops and five hundred bishops or synods“ [3].

მიეწერება [5], ნათლად ასახავს, რაოდენ რადიკალურ წინააღმდეგობას წააწყდნენ უნიატები მართლმადიდებელთა მხრიდან. არადა იმპერატორს უნია ჰაერივით სჭირდებოდა[3].

სწორედ ამიტომ დაიწყო მიხეილ პალეოლოგმა რეპრესიების გატარება. იგი სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც უნიას ეწინააღმდეგებოდა, თვით საკუთარ ახლობლებსაც კი. დაიწყო უნიის წინააღმდგომელთა გადასახლებანი და მათი ქონების კონფისკაცია. საპყრობილეები გაივსო მართლმადიდებელი ტუსაღებით, ხდებოდა მათი საჯარო წამება და დამცირება. უნიის არშემწყნარებლებს, როგორც იმპერატორის (ანუ ქვეყნის) მოღალატეებს, სჯიდნენ თვალების დათხრით, მკლავების მოკვეთით, ცხვირის მოჭრითა და სხვადასხვაგვარი სასჯელებით [6:664]. განსაკუთრებით სასტიკად იდევნებოდნენ სასულიერო პირები.

ცნობილია, რომ მიხეილ პალეოლოგისგან ლტოლვილმა უნიის მოწინააღმდეგე მართლმადიდებლებმა ამ დროს სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოშიც ჰპოვეს თავშესაფარი (კერძოდ დავით ნარინის სამფლობელოში) [7:121]. როგორც ჩანს საქართველოს ეკლესია უნიას არ თანაუგრძნობდა. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ უნიას გამოქცეულებს უნიატური საქართველოსთვის შემოეფარებინათ თავი[4].

---

[3] . მიხეილ პალეოლოგის მდგომარეობა მეტად არამყარი იყო. ქვეყანა იდგა რეალური საგარეო საფრთხის წინაშე. ლათინთა იმპერიის დამხობისა და კონსტანტინეპოლის განთავისუფლების შემდეგ ჯვაროსანთა ახალი გამანადგურებელი შემოსევის თავიდან ასაცილებლად იმპერატორს უნია მართლაც ჰაერივით სჭირდებოდა. პალეოლოგი ასეთ ვითარებაში ჰგავდა ჩასაძირად განწირული ხომალდის კაპიტანს, რომელიც ყველაფერ ზედმეტს ზღვაში ჰყრის. იმპერატორ მიხეილ პალეოლოგისთვის ასეთი ზედმეტი ტვირთი იყო მართლმადიდებელი სარწმუნოება.

[4] . ნიკიფორე გრიგორას ცნობა იმის შესახებ, რომ უნიის წინააღმდგომელმა ბერძებმა საქართველოს შემოაფარეს თავი, სიმონ ყაუხჩიშვილმა თარგმნა ქართულად და გამოსცა სათაურით: „კოლხეთი - მართლმადიდებელთა ქვეყანა“ [8:133].

ის, რომ ქართველები ემიჯნებოდნენ უნიას, ცხადად ჩანს კიდევ ერთი ისტორიული ფაქტიდან: მოცემულ პერიოდში ქართველები დიდად ედგნენ მხარში იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს[5]. ხოლო თავის მხრივ იერუსალიმის ბერძენ პატრიარქებს, ჯვაროსნების დროიდან მოკიდებული, მეტად მწვავე დაპირისპირება ჰქონდათ ლათინებთან. ცნობილია ისიც, რომ მიხეილ პალეოლოგის თანამედროვე იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი გრიგოლი ანტიუნიატურ პოლიტიკურ მოლაპარაკებებშიც კი იყო ჩართული [6:651][6].

ამგვარად, ეს ორი ფაქტი, - უნიის მოწინააღმდეგეთა შემოკედლება საქართველოში და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოსადმი ქართველთა მხარში დგომა, - მიანიშნებს იმაზე, რომ ქართველები უნიას არ თანაუგრძნობდნენ.

---

[5] . ეს ჩანს იერუსალიმის საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშიდან, რომელიც მოიცავს 1200-1308 წლებს: „ქართველები... დიდად დაეხმარნენ ბერძნულ საპატრიარქოს, რისთვისაც ბერძნებმა ჯერ წმიდა ნიკოლოზის მონასტერი უბოძეს, მოგვიანებით კი - ჯვრის მონასტერი. ვინაიდან ქართველები ძალზე ბევრნი იყვნენ, ჩვენგან მიიღეს წმიდა იაკობის, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის, წმიდა თევდორეს, წმიდა დემეტრეს, წმიდა თეკლას, წმიდა ეკატერინეს მონასტრები, ხოლო 1308 წელს - გოლგოთა“ [9:36]. ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ უნიის პერიოდში ქართველები მხარში ედგნენ იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს, ანუ იერუსალიმის მართლმადიდებელ პატრიარქებს. თანაც ამგვარი დამოკიდებულება იყო მეტად მყარი (როგორც დოკუმენტიდან ჩანს, მთელი ასწლეულის მანძილზე დასტურდება). სწორედ ამის გამო ბერძნული საპატრიარქო ქართველებს უფრო და უფრო მეტ სავანეებს გადმოსცემდა. ამგვარად, იერუსალიმის ბერძნული (მართლმადიდებელი) საპატრიარქოსა და ქართველების მოკავშირეობა ლიონის უნიის წლებში უდავო ფაქტია. ეს კი თავისთავად მიანიშნებს ქართველთა ანტიუნიატობაზე, რადგან ერთმორწმუნეები ვიყავით და ბერძნები, მიუხედავად ამისა, მაინც გვართმევდნენ ხოლმე სავანეებს, ხოლო უნიატები რომ ვყოფილიყავცით, მაშინ თავისი ნებით გადმოგვცემდნენ იერუსალიმის მონასტრებს?

[6] . და ეს ხდებოდა იმის მიუხედავად, რომ მიხეილ პალეოლოგი რომის პაპს იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოების გაუნიატებასაც დაჰპირდა [6:630].

უფრო მეტიც, ქართველთა ანტიუნიატობის შესახებ პირდაპირი ცნობაც მოგვეპოვება. მხედველობაში გვაქვს ათონის ივერთა მონასტრის დარბევა პაპისტების მიერ, რაც სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ ქართველებმა უნია არ შეიწყნარეს.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგს ათონის ივერთა მონასტრის წინაშე პირადი დამსახურება ჰქონდა (1259 წელს მან ოქრობეჭდით დამტკიცებული შეწირლობის სიგელი უბოძა ივირონს[7]); ათონელი ქართველების მიმართ მისი ამ დამსახურების მიუხედავად, ათონისა და ულუმბოს სხვა მონასტრებთან ერთად, როგორც ჩანს, ივირონმაც მიიღო მონაწილეობა 1278 წელს მოწვეული ანტიუნიატური საეკლესიო კრების მუშაობაში. აღნიშნულმა კრებამ უნიის გამო შეაჩვენა იმპერატორი მიხეილ პალეოლოგი, კონსტანტინეპოლის უნიატი პატრიარქი იოანე XI ვეკი, რომის პაპი და მათთან ერთად ყველა უნიატი [6:651][8].

---

[7] . აღნიშნული სიგელის ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა [10:130-132]. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ზეობის დასაწყისში უკანონო იმპერატორი მიხეილ პალეოლოგი გამოირჩეოდა თავისი „უშურველი“ შეწირულობებით ეკლესიისადმი და ზეპური ერისადმი, რათა მათი მხარდაჭერა მოეპოვებინა.

[8] . სამწუხაროდ უცნობია, თუ ვინ იყო ამ დროს ივირონის წინამძღვარი [11:112, 125]. ჩვენ ვერც ამ ანტიუნიატური კრების განჩინებაზე მიგვიწვდება ხელი, სადსაც, შესაძლოა, იყოს დაფიქსირებული ივირონის იმჟამინდელი წინამძღვრის სახელი.

ამის კრების შემდეგ და სწორედ მის გამო, 1280 წელს[9], მიხეილ პალეოლოგმა პაპისტებს სასტიკად დაარბევინა ათონის წმიდა მთა და ივერთა მონასტერი. სწორედ ამ ინკვიზიტორული დარბევის დროს გაიტაცეს ივირონიდან ათონელი ქართველი მამების წმიდა ცხედრები და გადაკარგეს დასავლეთში. აი რას გვაუწყებს ამის თაობაზე იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელების ბერძნული ცხოვრება:

„გადმოცემით კი ცნობილია და სინამდვილესაც უნდა შეეფერებოდეს, რომ, როცა აქ, მთაწმინდაზე, კათოლიკები მოვიდნენ, მეფე მიხაელისა და პატრიარქის (იგულისხმება იოანე ვეკი - გ.მ.) თანხმობით, მათ ივერიის მონასტრის წმიდა მამები ზღვაში დაახრჩვეს, რადგან მათ პაპის წარგზავნილები არ მიიღეს და არ ისურვეს ხელი მოეწერათ ლათინთა დადგენილებებისთვის.

ივირონელ ღირსმოწამეთა მარტვილობა

ნეტარი ეფთვიმეს წმინდა კუბოც, ისევე როგორც იოანესი და გიორგისა, გაიტაცეს სხვა საეკლესიო განძთან ერთად და მონასტერი ცარიელი დატოვეს“ [13:143].

---

[9] . განსხვავებულად ათარიღებს ამ მოვლენას მ. კახაძე: „1285 წ. ათონის მონასტრებს თავს დაესხნენ <<ფრანკები>> და მოითხოვეს ქართელებისგან რომის პაპის უფლება-მოსილების აღიარება და კათოლიკობის მიღება. მიხეილ პალეოლოგმა ათონელებს მოსთხოვა რომთან უნია და როცა მიზანს ვერ მაღწია, რამდენიმე წლის განმავლობაში სულ გაანადგურა მათი მონასტერი“ [12:87].

აღნიშნულის შესახებ ივერთა მონასტრის ქრონიკაც იუწყება[10]. მასში ვკითხულობთ, რომ ივირონი „მოოხრებასა შეეყენა სრულად, ვითარცა ძუელ წინა პირობითთა ოქრობეჭდოვანთა სიგელთა შინა ვისწავებით“. მასში აშნიშნულია, რომ მიხეილ პალეოლოგის დროს „საფრანგეთით მომავალნი ავაზაკებრ ზემოთქუმულსა მონასტერსა ზედადაესხნენ და მოაოხრეს და თუ ითქუმის, უმკჳდროდ და იავარყოფილად დაუტევეს... მონაზონნი უკუე ვიეთნიმე მოაშთვეს და სიკუდილისა საქმე უყვეს, ხოლო სხუანი დევნნეს და მეოტ-ყვნეს, რომლისა მიერ ყოველივე მდგომარეობაჲ მონასტრისაჲ უკუქცეულ იქმნა“ [14:82][11].

მაგრამ, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, მიხეილ თამარაშვილი, თვით ამ საშინელ ფაქტშიც კი საქართველოს ეკლესიასა და რომს შორის არსებულ დაურღვეველ ერთობას ხედავს. რადგან, მისი აზრით, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ივერიის მონასტრიდგან რომას წაუღიათ წმიდა მამათა იოვანესი, ეფთვიმესი და გიორგის

---

[10] . ქრონიკის სათაურია: „მოთხრობაჲ უმშვენიერესი მონასტრისათჳს ივერთაჲსა, რომლისა თანამდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი“. იგი XVII-XVIII საუკუნეებში ითარგმნა ბერძნულიდან ქართულად [14:73-75].

[11] . ივერთა მონასტრის ქრონიკაში ეს ამბავი მცდარად არის დათარიღებული 1259 წლით (ჩსნთ). ამასთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძე შემდეგი სახის კომენტარს დაურთავს მოცემულ ძეგლს: „1280 წელს მიხეილის ნებართვით ლათინები შეესიენ ათონს და მოითხოვეს ბერებისაგან უნიის მიღება. ბერძენთა მონასტრები თითქმის ყველა იძულებული იყო დათანხმებულიყო, ივერთა მონასტრის ბერებმა კი უარი განაცხადეს, რისთვისაც მათ თავს დაატყდა ის საშინელება, რაც ჩვენს ქრონიკაშია გადმოცემული. ამ მონასტრების ბერები, რომლებიც ხოცვა-ჟლეტას გადაურჩნენ, გაყვეს ორ ნაწილად, ქართველები გარეკეს იტალიაში, ხოლო სხვები ზღვაში დაახრჩვეს“ [14:77]. ინგლისურენოვან ონლაინ ენციკლოპედიაში (OrthodoxWiki) ათონის ზოგრაფის მონასტრის ბერების წამების თარიღად 1282 წლის 10 ოქტომბერია დასახელებული (იხ. სტატია: Zographou martyrs). როგორც ცნობილია, ზოგრაფისა და ივირონის დარბევა თანადროულად მოხდა.

გვამნი, - მაშინ ცხადათ დავრწმუნდებით, რომ მეცამეტე საუკუნეში ისევ ყოფილა ერთობა ლათინთა და ქართველთა შორის. ეს გარემოება, ჩვენის აზრით, სხვაფრივ ვერ აიხსნება“ - წერს იგი[15:23].

საყურადღებოა, რომ ივერთა მონასტრის აკლებას დასავლელთა მიერ ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი იყო უწმიდესი ნიკოლოზი. უფრო კონკრეტულად, ეს მოხდა მისი პატრიარქობის ბოლოსთვის[12]. და სწორედ ამ დროს, უწმიდესი ნიკოლოზის მწყემსმთავრობის დასასრულს, როგორც ამას ჟამთააღმწერელი გვაუწყებს, ათონის მთიდან, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის გამოცხადებით, საგანგებოდ ჩამობრძანდა საქართველოში ევფემიოს კათალიკოსის ბიძა - ბასილი მონაზონი[13], რათა ემხილებინა იმ დროს ქართველთა შორის გავრცელებული სხვადასხვაგვარი ცოდვები. მან თვით საქართველოს მეფის წინააღმდეგაც კი აიმაღლა ხმა. ხოლო ამ დროს საქართველოს უნიატური კავშირი რომ ჰქონოდა რომთან დამყარებული, განა ამის შესახებ ხმას არ ამოიღებდა ათონის მთიდან (ანუ ანტიუნიატური ციტადელიდან) სამშობლოში ჩამოსული თავისი პირუთვნელი მამხილებლობით სახელგანთქმული ბასილი მონაზონი?

უფრო მეტიც, ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ზემოხსენებული პატრიარქი ნიკოლოზი, უნიატებისგან განსხვავებით, არც ლიონის 1274 წლის კრებას აღიარებდა

---

[12] . უწმიდესი ნიკოლოზის პატრიარქობიდან გადადგომის თარიღთან დაკავშირებით გარკვეული აზრთასხვაობა არსებობს. დასახელებულია 1280 [16:59] და 1282 წლები [17:675; 18:177]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ საკითხს ჩვენთვის ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია.

[13] . ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ როდესაც უწმიდესი ნიკოლოზი გადადგა, სწორედ მაშინ „მათ ჟამთა შინა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონაზონი“ [17:285-286; 19:515-516; 20:173-174].

მადლმოსილ მსოფლიო საეკლესიო კრებად და, შესაბამისად, არც ამ კრებაზე გაფორმებულ უნიას სცნობდა [21:42]. ამას მოწმობს „დაწერილი ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოზისა არვანბეგ საბასძისადმი“ - საკანონმდებლო აქტი, რომელიც შედგენილია უწმიდესი ნიკოლოზის მიერ 1281/2 წელს [18:178].

აღნიშნული საკანონმდებლო ძეგლი ჩვენთვის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს, რადგან იგი შედგენილია მანამდე, ვიდრე მოხდებოდა უნიის ანულირება. თანაც შედგენილია სწორედ იმ ქართველი პატრიარქის მიერ, რომლის მწყემსმთავრობის დროსაც მოხდა ლიონის უნიის გაფორმება. ასე რომ, თუკი საქართველოს ეკლესია უნიით იქნებოდა რომთან დაკავშირებული, მაშინ ეს უსათუოდ აისახებოდა მოცემულ ძეგლში.

არადა პატრიარქ ნიკოლოზის მიერ გაცემულ საბუთში უნიის ნატამალიც კი არ ჩანს. საქმე იმაშია, რომ მასში მოიხსენიება მხოლოდ შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება [18:178], რომელთა მადლმოსილებასაც აღიარებდა და დღესაც აღიარებს საქართველოს ეკლესია, ხოლო თუკი საქართველო უნიატური იყო, მაშინ მოცემულ ძეგლში შვიდის ნაცვლად ცამეტი მსოფლიო კრება უნდა მოიხსენიებოდეს, რადგან ლიონის 1274 წლის კრება პაპისტებისა და მათთან გაერთიანებული უნიატების მიერ მეცამეტე მსოფლიო კრებად იქნა ცნობილი [3].

ამგვარად, სავსებით გულდანდობილად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზი ემიჯნებოდა უნიას და რომის პაპისგან თავი შორს ეჭირა. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს კიდეც მისი დახასიათებისას, რომ პატრიარქი ნიკოლოზი იყო „მართლმადიდებელი“[14], რაც იმ დროს, უნიის გამო ატეხილი

[14] . უწმიდელი ნიკოლოზი იყო „კაცი მხილველი სულთა, ანგელოზთა მობაძავი, და მრავალთა მოღუაწებათა შინა საკჳრველი,

არეულობის ჟამს, როცა მრავალი ბერძენი იერარქი მოიკოჭლებდა სარწმუნოებაში, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი დახასიათება უნდა იყოს.



დემეტრე თავდადებული

ერთი სიტყვით, ჩვენს ხელთ არსებული ყველა ისტორიული წყარო, გარდა ერთისა, მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ეკლესიას არ შეუწყნარებია 1274 წელს გაფორმებული უნია. მხოლოდ ერთადერთი წყარო შეიცავს ამის საწინააღმდეგო ცნობას. ეს გახლავთ პაპ ნიკოლოზ IV-ს მიერ წმიდა მეფე დემეტრე თავდადებულისადმი 1289 წლის 11 ივლისს რიეტიდან გამოგზავნილი წერილი. აღნიშნულ წერილში პაპი ამგვარი თხოვნით მიმართავს ქართველ გვირგვინოსანს: „ვიწვევთ თქვენს ხელმწიფებას, რათა... შეუდგეთ ერთგულებით სარწმუნოებასა და ... განაგრძოთ ეკლესიის ერთობა“ [22:491][15].

რომის პაპის ეს სიტყვები მართლაც ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს საქართველოს ეკლესია უნიით იყო რომთან დაკავშირებული და თითქოს ამ ერთობის განგრძობისკენ მოუწოდებდა პაპი დემეტრე მეფეს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის ასე.

მართლმადიდებელი, ძლიერი და თუალ-უხუავად მამხილებელი მეფეთა და მთავართა, რამეთუ იყო უმანკოცა, და არავის თუალნი აუხუნის“ [17:224].

[15] . სწორედ ამ წერილზე დაყრდნობით გამოაცხადა მიხეილ თამარაშვილმა წმ. დემეტრე თავდადებული კათოლიკედ. თამარაშვილის მოსაზრებას კი საკმაოდ გამოუჩნდნენ გამზიარებლები, მათ შორის თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ჟან რიშარი [23:95-99].

აღსანიშნავია, რომ იგივე რომის პაპი ნიკოლოზ VI სულ ცოტა ხნით ადრე, საქართველოს პატრიარქ აბრაამ I-სადმი გამოგზავნილ წერილში ცხადად მოწმობს, რომ არანაირი ეკლესიური ერთობა საქართველოსა და რომს შორის არ არსებობდა. ხოლო ის, რაც უბრალოდ არ არსებობდა, როგორ უნდა „განეგრძო“ დემეტრე თავდადებულს? ამგვარად, როგორც ჩანს, პაპის სიტყვები არარსებული ერთობის „განგრძობის“ შესახებ, ჩვეულებრივი პაპისტური დიპლომატიური ენადაშაქრულობის გამოვლენაა მხოლოდ და მას არსებულ რეალობასთან არაფერი აქვს საერთო.

პაპი ნიკოლოზ VI

აი კერძოდ რას სწერდა პაპი ნიკოლოზ IV საქართველოს პატრიარქს:

„...სძლიეთ ყოველ სიძ-ნელესა, რაც კი მასთან (კათოლიკური ეკლესიასთან - გ.მ.) შეერთების დროს გამო-გიჩნდეთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლიცვ მომართეთ, მხნედ მოუახლოვდით და ეცადეთ სხვების მოზიდვასაც;... იმედი გვაქვს და დარ-წმუნებულიც ვართ, ჩვენი სურვილი კარგად დააკმაყოფილოთ და თქვენი ერი წარმართოთ ერთობის გზასა“ - იწერებოდა პაპი რიეტიდან 1289 წლის 7 ივლისს [22:490-491].

ამ წერილს მითითებული აქვს, რომ „ერთი პირი მისი პატრიარქის გარდა გაეგზავნა იმავე დროს საქართველოს ყველა მთავარეპისკოპოსსთ, ეპისკოპოსთ და არხიმანდრიტთაო“ აღნიშნავს თამარაშვილი [15:20]. ფაქტია, რომ პაპი ნიკოლოზ VI, მისი ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, როგორც ჩანს, მაინც არ ენდობოდა საქართველოს პატრიარქს. იგი სულაც არ

იყო დარწმუნებული იმაში, რომ უწმიდესი აბრაამ I უნიას მიემხრობოდა და დაიწყებდა მის პროპაგანდას. სწორედ ამიტომ მან გადაწყვიტა, საქართველოს პატრიარქის იურისდიქციაში მყოფი იერარქებისთვის, საქართველოს პატრიარქის გვერდის ავლითაც გამოეგზავნა ზემოხსენებული წერილის ასლები.

რომის პაპის ზემოხსენებულ წერილს დართული აქვს ეგრეთ წოდებული „შეერთების მუხლები“, ანუ რომთან შეერთების პირობები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინათ ქართველ მღვდელმთავრებს. ეს მუხლები მიხეილ თამარაშვილმა გასაგები მიზეზების გამო და მეტად ალოგიკური საბაბით საერთოდ არ გამოაქვეყნა[16]. ეს „შეერთების მუხლები“ კიდევ ერთხელ მოწმობენ, რომ საქართველს ეკლესია არათუ არ იმყოფებოდა რომთან ერთობაში, არამედ იმდენად შორს იდგა მისგან, რომ საკმაოდ ვრცელი აღმოჩნდა იმ პირობების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებასაც მოითხოვდა პაპი უნიის მისაღწევად.

ერთი სიტყვით, ცხადია, ამგვარ წერილს პაპი არ გაუგზავნიდა იმ ეკლესიის მწყემსმთავარს, რომელიც უნიით იყო რომთან დაკავშირებული. პაპის წერილიდან პირდაპირ ჩანს, რომ საქართველოს პატრიარქი და მისი სამწყსო ერი არ იყო ერთობაში რომთან. წინააღმდეგ შემთხვევაში პაპი „შეერთებისკენ“ არ მოუწოდებდა მას, არც „სხვების მოზიდვას“ (ანუ „მისი ერის“) გაუნიატებას სთხოვდა და არც „შეერთების მუხლებს“ გამოუგზავნიდა.

როგორც ჩანს, პაპმა ნიკოლოზ IV-მ კარგად იცოდა, რომ საქართველოს პატრიარქი არ იმყოფებოდა მასთან ერთობაში და საერთოდაც არ სცნობდა მის ხელისუფლებას. სწორედ ამიტომ, იგი თავის წერილში ტკბილი სიტყვით მოუწოდებდა

[16] . „რადგან ვრცელია, აქ არ მოგვყავსო“!!! [15:20].

უწმიდეს აბრაამ პირველს „შეერთებისაკენ“ (ანუ საქართველოს ეკლესიის გაუნიატებისაკენ).

ამგვარად, ცხადია, რომ მანამდე სანამ რომი ლიონის უნიას ანულირებულად სცნობდა[17], საქართველოს ეკლესია ნამდვილად არ იმყოფებოდა მასთან ერთობაში. ეს კი თავის მხრივ, სრულიად აბათილებს იმავე პაპ ნიკოლოზ IV-ს სიტყვას თითქოს წმიდა დემეტრე თავდადებულსა და დავით ნარინს უნდა „განეგრძოთ“ ეკლესიის ერთობა. რადგან, როგორც ჩანს, უწმიდესი აბრაამ პირველი, მისი წინამორბედი უნიის მოწინააღმდეგე პატრიარქის კურსის გამგრძელებელი იყო (რომელმაც იგი „ჴელითა თჳსითა აკურთხა - კათალიკოსად“ [20:172]). უნიისაგან მასაც თავი შორს ეჭირა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიას, როგორც ჩანს, ლიონის უნია მართლაც არ მიუღია, გარკვეული დიპლომატიური ურთიერთობები ქართველებს რომთან მაინც ჰქონდათ. მაგალითად ცნობილია, რომ ლიონის უნიის გაფორმებიდან ორიოდე წლის შემდეგ ევროპაში ჩავიდნენ აბაღა ყაენის ქართველი ელჩები - ძმები იოანე და იაკობი [26:425-426][18]. ქართველ ელჩებს დავალებული ჰქონდათ რომის პაპისთვის გადაეცათ მონღოლთა დიდი ყაენის სურვილი საყაენოში მისიონრების გაგზავნის შესახებ. 1276 წლის შემოდგომაზე ქართველმა ძმებმა მართლაც ჩაუტანეს

---

[17] . დასავლური ისტორიოგრაფია უნიის ანულირების თარიღად სწორედ 1289 წელს მიიჩნევს: „Concilies de Lyon:… 1274, XIIIe oecumenique, remarque par une ephemere reunion avec les Grecs (rompue des 1289)“ [24:3395]. თუმცა მართლმადიდებლურ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში უნიის ანულირების თარიღად 1283 წელი მიიჩნევა, როდესაც კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებაზე გაასამართლეს უნიატები, პირველ რიგში პატრიარქი იოანე ვეკი [25]. როგორც ჩანს, იმის მიუხედავად, რომ 1283 წელს კონსტანტინეპოლმა უარყო უნია, აღმოსავლეთში მაინც რჩებოდნენ უნიატები, ამიტომ 1289 წლამდე რომს უნიის ანულირება არ მოუხდენია.

[18] . თამაზ ნატროშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა იოანესა და იაკობს კათოლიკობაც ჰქონდათ მიღებული [27:119].

რომის პაპს ყაენის წერილი. იმავე წელს ისინი საფრანგეთის მეფე ფილიპე III-სა და ინგლისის მეფე ედუარდ I-ის წინაშე წარსდგნენ აუდიენციაზე [26:425]. შემდეგ კი ისევ რომში დაბრუნდნენ, რათა პაპისგან ყაენისთვის გასაგზავნი საპასუხო წერილი მიეღოთ.

რატომღაც, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ დიპლომატიურ მისიას რეალური შედეგები არ მოჰყოლია [26:426]. მაგრამ ისტორიიდან ცნობილია, რომ მონღოლთა ბატონობის დროს ლათინი მისიონრები საქართველოში მართლაც იყვნენ. ამ ელჩობის მიზანი კი სწორედ მისიონრების მოწვევაში მდგომარეობდა.

აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მონღოლთა ელჩობა ლიონის 1274 წლის კრების სხდომებსაც ესწრებოდა [3], მაშინ სავსებით შესაძლებელი იქნება ვივარაუდოთ, რომ ქართველები, როგორც ყაენის წარმომადგენლები, შესაძლოა ლიონში უნიის გაფორმებასაც დაესწრნენ. მაგრამ, ვინაიდან ლიონის კრების მონაწილე ოფიციალურ მხარეთა შორის საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია არსად არ მოიხსენიება, როგორც ჩანს, ყაენის ქართველ ელჩებს საქართველოს საპატრიარქოს სახელით მოქმედებისთვის სათანადო რწმუნებები არ გააჩნდათ.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული წყაროების კომპლექსური შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ლიონის უნია საქართველოს ეკლესიას, როგორც ჩანს, არ მიუღია. და ამაში არაფერი არ არის მოულოდნელი, რადგან საქართველოს ეკლესიამ, როგორც ცნობილია, არც ფერარა-ფლორენციის კრებაზე გაფორმებული უნია არ შეიწყნარა და მაშინაც უარი თქვა რომის პაპისადმი დაქვემდებარებაზე, რასაც შედარებით მოგვიანებით ჰქონდა ადგილი.

ლიონის 1274 წლის კრება
ბონავენტურას წარდგომა პაპ გრიგოლის წინაშე

ლიტერატურა და წყაროები

1. მურმან პაპაშვილი, კათოლიკობა და უნიის საკითხი საქართველოში (XIII-XV საუკუნის I ნახევარი), კრ. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, 3, 1996 წ., გვ. 211-252.
2. Milton V., Anastos, Constantinople and Rome, ელ. ვერსია: http://www.myriobiblos.gr/ texts/english/milton1_22.html

3. Georges Goyau, Second Council of Lyons (1274), ელ. ვერსია: http://www. newadvent.org/cathen/09476c.htm
4. Сергий Явиц, Андрей Клюшев, Конспект по Истории Римо-Католической Церкви, ელ. ვერსია: http://www.sedmica. orthodoxy.ru/kdais/kda-hist-katholic.htm
5. Уэр Каллист, История Церкви, Византия II: Великая Схизма, ელ. ვერსია: http://www.apologia.narod.ru/history/UER_h/uer_shizma.htm
6. Успенский Ф.И., История Византийской Империи, т. 3, М., 1948 г.
7. Римская История Никифора Григоры, т. 1, С-Пб., 1862 г.
8. სიმონ ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, 7, თბ., 1967 წ.
9. გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბ., 1995 წ.
10. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, 8, თბ., 1970 წ.
11. ელენე მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998 წ.
12. მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954 წ.
13. იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა, თბ., 1982 წ.
14. კორნელი კეკელიძე, ეტიუდები, 3, თბ., 1955 წ.
15. მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902 წ.
16. კრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000 წ.

17. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 2, თბ., 1959 წ.
18. ქართული საისტორიო საბუთების კორპუსი, 1, თბ., 1984 წ.
19. ქართლის ცხოვრება, „ძველი ქართლის ცხოვრება“, გამოსაცემად მოამზადეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1996 წ.
20. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. კიკნაძემ, თბ., 1987 წ.
21. გიორგი მაჭარაშვილი, პაპისტური მსოფლიო კრებების უარყოფა ქართველთაგან და ეკლესიური ერთობის დარღვევა რომთან (XI-XIII საუკუნეთა ქართული სამართლებრივი ძეგლების მიხედვით), ალმანახი კავკასიის მაცნე, 2002 წ., #5.
22. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, ზ. ალექსიძისა და ჯ. ოდიშელის გამოცემა, თბ., 1995 წ.
23. მანანა ჯავახიშვილი, ჟან რიშარი - საქართველოში კათოლიკე მისიონრების შესახებ, ჟურ. მნათობი, 1999 წ., #1-2.
24. Michel Mourre, Dictionnaire enciclopedique de l’histoire, 3, Paris, 1978.
25. Владимир Никольский, Лионская Уния, эпизод из средневековой церковной истории (1261-1293 гг.), Жур. Православное Обозрение, 1867, кн. 5, 6, 8, 9.
26. დ. ნინიძე, ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში, კრ. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბ., 1998 წ.
27. თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1978 წ.